

## განმარტებითი ბარათი

### „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეულ ნორმათა შეუსაბამობა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან, ასევე კანონში არსებული მთელი რიგი ხარვეზები და მთარგმნელობითი ხასიათის შეცდომები. კანონპროექტის მიღების მიზეზია აგრეთვე საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარების შემაფერხებელი საკანონმდებლო გარემოს არსებობა, რომელიც უნდა შეიცვალოს არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, სანდოობისა და პოპულარობის გაზრდის და ზოგადად ამ ინსტიტუტის განვითარების მიმართულებით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან, ასევე საქართველოში არბიტრაჟის ინსტიტუტისადმი მეგობრულად განწყობილი გარემოს შექმნა, კანონში არსებული ხარვეზების გამოსწორება, არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, სანდოობის და პოპულარობის გაზრდისა და მისი განვითარების ხელშეწყობა.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მხარეთა უფლებას, მიმართონ მხოლოდ მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, მაშინ როდესაც UNCITRAL-ის მოდელური კანონიდან გამომდინარე, მხარეებს ასევე უნდა ჰქონდეთ უფლება მიმართონ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ (ad hoc) არბიტრაჟსაც. კანონპროექტით ცვლილება შედის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში და UNCITRAL-ის მოდელური კანონის მსგავსად, მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა მიმართონ კონკრეტული დავის გადასაწყვეტად შექმნილ (ad hoc) არბიტრაჟსაც.

წარმოდგენილი ცვლილებებით უქმდება კანონის მე-2 მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტი. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება აღარ იქნება ვალდებული ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნოს საარბიტრაჟო წარმოების წესები. იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟი კერძო სერვისია, ლოგიკურია, რომ მან თავად იზრუნოს საკუთარი წესების გამოქვეყნებაზე (მაგალითად, ვებგვერდის საშუალებით). შესაბამისად, არბიტრაჟისათვის მსგავსი ვალდებულების დაკისრება აზრს მოკლებულია.

კანონის მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ორივე მხარე ფიზიკური პირია, საარბიტრაჟო შეთანხმებას ხელი უნდა მოაწერონ მხარეთა ადვოკატებმაც ან საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. მსგავსი

ტიპის შეზღუდვის საჭიროება არ არსებობს - თუ მხარეთა ნების გამოვლენა ნამდვილია, მათ კანონი არ უნდა ავალდებულებდეს ადვოკატების დასაქირავებლად ან ნოტარიული წესით შეთანხმების დასამოწმებლად დამატებითი ხარჯების გაღებას. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებებით თუ საარბიტრაჟო შეთანხმების ორივე მხარე ფიზიკური პირია, მათ აღარ მოეთხოვებათ შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმება ან ადვოკატების ხელმოწერა.

საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლიც, რომლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს საქმის წარმოება მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შემდეგ, რაც იმას გულისხმობს, რომ თავისთავად მხარეთა შეთანხმება და ნება დავის არბიტრაჟისთვის გადასაცემად, არ არის საკმარისი სასამართლოსთვის. წარმოდგენილი კანონპროექტით ხდება აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება და დგინდება, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში მხარის მოთხოვნით სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას. მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, საარბიტრაჟო განხილვის დაწყება საქმის წარმოების შესაწყვეტად სავალდებულო აღარ იქნება. ასევე განისაზღვრება, რომ წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიუთითოს მხარეებს არბიტრაჟზე.

კანონპროექტით დგინდება, რომ მხარეს არბიტრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეეძლება სასამართლოში გაასაჩივროს არა აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანიდან, არამედ გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

კანონპროექტით განისაზღვრება არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის წესი იმ შემთხვევებისთვისაც, როდესაც მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად ვერ ხერხდება არბიტრის დანიშვნა, ვინაიდან, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, მხარეთა შეთანხმების არსებობის მიუხედავად, შეიქმნას გარკვეული პრობლემები არბიტრის დანიშვნის პროცესში, აღნიშნული ცვლილება კი უზრუნველყოფს, რომ მხარეთა ნება - დაუქვემდებარონ დავა არბიტრაჟს - ნებისმიერ შემთხვევაში იყოს აღსრულებადი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის განხორციელების შესაძლებლობა. დამატებით, კანონპროექტით ზუსტდება, რომ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ეხება სასამართლოს (და არა არბიტრაჟის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათს. არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის წესთან დაკავშირებით განხორციელებული ვიდეო ერთი ცვლილებით კონკრეტდება, რომ არბიტრაჟი შეიძლება დანიშნოს როგორც სასამართლომ, ასევე ნებისმიერმა სხვა დაწესებულებამ (თუ ამ უკანასკნელზე არსებობს მხარეთა შეთანხმება).

კანონპროექტით არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხის გადაწყვეტას რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგივრად, განხორციელებს სააპელაციო სასამართლო. ლოგიკურია, რომ არბიტრაჟის კომპეტენციის საკითხებზე პრაქტიკა ჩამოაყალიბოს იმ ინსტანციამ, რომელიც იხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების საკითხებს, ასევე საარბიტრაჟოს გადაწყვეტილების გაუქმების საჩივრებს. დამატებით, UNCITRAL-ის მოდელური კანონიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან იმიჯნება შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟს არა აქვს კომპეტენცია და როდესაც არბიტრაჟმა გადააჭარბა თავის კომპეტენციას. კომპეტენციასთან დაკავშირებული ცვლილებებით ასევე ზუსტდება არბიტრაჟის შესაძლებლობა, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე მიიღოს გადაწყვეტილება თავისი კომპეტენციის თაობაზე. ამასთანავე, მხარეთა შეთანხმების

არსებობის შემთხვევაში, არბიტრაჟმა უნდა იმოქმედოს მხარეთა შეთანხმების შესაბამისად კომპეტენციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის დროის განსაზღვრისას.

ცვლილებით განისაზღვრება, რომ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების აღსრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ საჭიროებს სასამართლოსათვის მიმართვას, არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს ასეთი ღონისძიებების აღსრულების განსხვავებული წესი.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითება კეთდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე მხრეს არ აქვს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. ცალკეულ შემთხვევებში, საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იქნება მხარის მიმართვის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდეც.

ცვლილებებით ასევე დგინდება, რომ არბიტრაჟი ვალდებულების ნაცვლად, უფლებამოსილია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. ვალდებულების უფლებამოსილებით შეცვლა ხდება კანონის 38-ე მუხლშიც - არბიტრაჟი უფლებამოსილი იქნება გადაწყვეტილებით დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს მხარეთა მორიგება შეთანხმებული პირობებით.

აღსანიშნავია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი, რომლის მიხედვით თუ შეუძლებელია ადრესატის იურიდიული მისამართის, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით. მსგავსი რეგულირება ხშირად იწვევს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადრესატი ვერც გებულობს მის წინააღმდეგ საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის ფაქტს. კანონპროექტით განისაზღვრება, რომ მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში წერილობითი შეტყობინების მხარეებისთვის ჩაბარება მოხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლო შეტყობინებისა და დაბარებისთვის დადგენილი წესით.

ცვლილება შედის „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველ პუნქტში და კონკრეტდება, რომ არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ვრცელდება დავის არსებით ნაწილზე.

დამატებით, UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან შესაბამისობის მიზნით, ზუსტდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები. მოდელური კანონის მიხედვით, განიმარტება, რომ კანონის ფარგლებში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წინააღმდეგ ერთადერთი საპროცესო საშუალება არის გაუქმების პროცედურა, რომელიც უნდა განხორციელდეს ამავე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, პროექტის თანახმად, დაუშვებელი იქნება ცნობილი და აღსრულებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება იმავე საფუძველით, რითაც მხარის მიერ მოთხოვნილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და

აღსრულებაზე უარის თქმა, ასევე დაუშვებელი იქნება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვა იმავე საფუძვლით, რომლითაც ითხოვდა მხარე აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებას ან თუ გაუქმების მოთხოვნის ვადა გასულია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და მისი ცნობა-აღსრულების უფლებამოსილებით აღჭურვილია ერთი და იგივე ორგანო (სააპელაციო სასამართლო), დაუშვებელი უნდა იყოს ორმაგი სტანდარტის არსებობა და იდენტური საფუძვლების შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება.

ცვლილებებით ზუსტდება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებაზე, ისევე, როგორც ცნობასა და აღსრულებაზე, უარის თქმა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც ექცევა არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც სცილდება არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს.

პროექტით საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში აღინიშნება ასევე გადაწყვეტილების მიმღები არბიტრები, საარბიტრაჟო განხილვის მხარეები. გარდა ამისა, მხარეებს ეძლევათ საშუალება შეთანხმდნენ სამოტივაციო ნაწილის არარსებობაზე, თუნდაც საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

დამატებით, კანონის მოქმედი რედაქციის მე-13, მე-17-მე-18, 42-ე, 45-ე მუხლებში აღმოფხვრილია მთარგმნელობითი ხასიათის შეცდომები.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

ფინანსურ შედეგებს არ იწვევს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა და კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს საპროცესო სამართლის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის (რომელიც აერთიანებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, არასამთავრობო სექტორის, ადვოკატთა ასოციაციის, აკადემიური და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს, დამოუკიდებელ ექსპერტებს) წევრებმა.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს საპროცესო სამართლის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.